პერფექციონიზმი და აკადმიური პროკრასტინაცია, მათი ურთიერთკავშირი და გავლენა აკადემიურ მოსწრებაზე

მერი მეტრეველი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ხელმძღვანელი -ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
დარეჯან კახიანი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
ირინა ვარდანაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

განაცხადი

,,როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მერი მეტრეველი

15.06.2022

აბსტრაქტი

ნამდვილად ახდენს გავლენას პერფექციონიზმი აკადემიურ მოსწრებაზე?როგორ მოქმედებს აკადემიური პროკრასტინაცია აკადემიურ მოსწრებაზე? როგორი სახის კავშირია პერფექციონიზმსა და აკადემიურ პროკრასტიანციას შორის? სტუდენტები რომლებიც კარგად სწავლობენ, აქვთ მაღალი GPA,შესაბამისად, აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება. რაც აკადემიური წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელია. ამიტომ სტუდენტების, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით, უფრო მეტი შანსი აქვთ კარგად დაეუფლონ საკუთარ პროფესიას, დაიმკვიდრონ თავიანთი ადგილი სოციუმში და შეიქმნან წარმატებული კარიერა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი დადგინდეს აღნიშნული პიროვნეული ფაქტორების გავლენა აკადემიური მოსწრების ხარისხზე. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს აჩვენოს კავშირები პერფექციონიზმსა და აკადემიურ პროკრასტიანციას; აკადემიურ პროკრასტინაციას და აკადემიურ მოსწრებას; და პერფექციონიზმსა და აკადემიურ მოსწრებას შორის. სამიზნე ჯგუფად შეირჩა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრები და მაგისტრანტები. კვლევის მონაწილეები გამოიკითხნენ ორი კითხვარის საშუალებით, სადაც საკუთარი პერსპექტივიდან შეაფასეს პერფექციონიზმი და აკადმიური პროკრასტინაცია. ამასთანავე, კვლევის მონაწილეებს უნდა მიეთითებინათ თავიანთი GPA, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა მათი აკადმიური მოსწრება. კვლევის შედეგების მიხედვით, პროკრასტინაციასა და პერფექციონიზმს შორისაც აღმოჩნდა უარყოფითი კავშირი. აკადემიურ მოსწრებასა (GPA) და პროკრასტინაციას შორის გამოვლინდა უარყოფითი კორელაცია. ხოლო, პერფექციონიზმსა და GPA_ს შორის საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია. კვლევის შედეგად, თვითორიენტირებული პერფექციონიზმი დადებითად წინასწარმეტყველებს GPA_ს. ხოლო სხვაზე ორიენტირებული და სოციალურად განსაზღვრული პერფექციონიზმი აკადემიური მოსწრებისთვის არ აღმოჩნდნენ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორები. თვითორიენტირებული და სოციალურად განსაზღვრული პერფექციონიზმი წარმოადგენს პროკრასტინაციის პრედიქოტრებს, თუმცა, სხვაზე ორიენტირებულ პერფექციონიზმზე დანამდვილებით ვერ ვიტყვით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პერფექციონიზმი, პროკრასტინაცია, აკადემიური მოსწრება, GPA.

Abstract

Does Perfectionism Really Affect Academic performance? How does academic procrastination affect academic performance? What kind of connection is there between perfectionism and academic procrastination? Students who study well have a high GPA, hence have a high academic performance.High academic performance is one of the determinants of academic success. Therefore,students who excel in high academic performance are more likely to master their profession well, establish their place in society, and build a successful career. That is why it is important to identify these personal factors that affect the quality of academic performance.The main goal of the study is to show the connection between perfectionism and academic procrastination;Academic procrastination and academic performance;And between perfectionism and academic performance.Bachelors and masters of Ilya State University were chosen as the target group.The study participants were interviewed using two questionnaires in which they assessed perfectionism and academic procrastination from their point of view.In addition,study participants were required to indicate their GPA, which was used to determine their academic performance. According to the results of a quantitative study,a negative correlation was found between procrastination and perfectionism. A negative correlation has also been found between academic performance (GPA) and procrastination.And a positive correlation of mean strength between perfectionism and GPA. The study found that,Self-oriented perfectionism positively predicts GPA.While other-oriented perfectionism and socially prescribed perfectionism have not been found to be statistically reliable predictors of academic achievement. Self-oriented and socially prescribed perfectionism are the predictors of procrastination, however, we can not say for sure about other-oriented perfectionism.

Key words: Perfectionism, Procrastination, Academic performance, GPA,

მადლობა

კვლევაში განხორციელებული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელებს, ქალბატონ დარეჯან კახიანს და ირინა ვარდანაშვილს.

ასევე, მაგისტრატურისა და ბაკალავრის სტუდენტებს, რომლებმაც ითანამშრომლეს ჩემთან და მონაწილეობა მიიღეს კვლევაში.